ENERGY DEVELOPMENT GEORGIA

EDG

ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯია

N01/325
25.08.2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მდ. საშუალზე გეგმავს 2.32 მგვტ დადგმული სიმძლავრის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე საშუალა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას.

საშუალა ჰესის პროექტის განხორციელება დაგეგმილია საშუალას ჰესების კასკადის (საშუალა 1 ჰესი და საშუალა 2 ჰესი) ზედა დინებაში და ათვისებული იქნება მდ. საშუალას 1060 და 1240 მ ნიშნულებს შორის მოქცეული მონაკვეთის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი.

განსახილველი პროექტი თავისი მახასიათებლიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის მე-3 მუხლის, 3.8 პუნქტის მიხედვით, მიეკუთვნება სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას. გამომდინარე იქედან რომ პროექტის განხორციელება დაგეგმილია რთული რელიეფის მქონე ხეობაში, სადაც საგზაო ინფრასტრუქტურის და ჰესის კომუნიკაციების მოწყობასთან დაკავშირებით არსებობს ფიზიკურ და ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკები, პროექტის განხორციელება უნდა მოხდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების საფუძველზე მიღებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გმომდინარე, საქმიანობის განმხორციელებელი კომპანიის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის გათვალისწინებით, „საშუალა ჰესი“-ს პროექტმა გაიაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა, სკრინინგის პროცედურის გავლის გარეშე.

გამომდინარე იქიდან, რომ გზშ-ს პროცედურის პირველი ეტაპი სკოპინგის პროცედურაა, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. საშუალაზე დაგეგმილი 2.32 მგვტ დადგმული სიმძლავრის საშუალა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს.

წერილ თან ერთვის:

EDG LTD, Kostava st. 47/57, 2th Floor, Tbilisi, 0179, Georgia, Phone: +995 577 08 09 22
e-mail - infoedgorgia@gmail.com

№ 13492
25 08 2020
03

- საშუალა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში (ნაბეჭდი ვერსია) - 1 ეგზემპლიარი;
- 2. საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით და სკოპინგის ანგარიშის ელ. ვერსია - 1 CD;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“-ს რეგისტრაციის თაობაზე.

პატივისცემით,

გიორგი შუკაკიძე

დირექტორი